

3
960

№ 8

თბილისი აპრილი

1961



საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აქადემიის
გამოცემის

სიასე


გამოცემის XXXIX წელი, ზანი 20 კპპ.

მოდის მაისი მზით და ვარდებით,
სიცოცხლის ოქროს ფუნჯით მხატვარი,
გამარჯვებათა დიდი მედროზე,
მშვიდობის დიდი ბაირობათა,
მოდის შვიდწლედის გაშლილი გზებით,
მოდის სიმღერით, მოდის ხალისით,
შრომის, დიდების, ბედნიერების,
გამარჯვებების დიდი მაისი.





შეახვევს ინსპექტორი



(იბაზი)

რესტორან „ტყე“-ში მიმტანად
მოეწყო ერთი კალია,
მარიფათობდა, დახტოდა
როგორც რომ ვერცხლისწყალია.
(ეგ სულ ერთია, მკითხველო,
კაცი იყო, თუ ქალია!)
და მომხმარებლებს დღედაღამ
ტყავსაც აძრობდა ძალიან!

ერთხელ კლიენტმა კალიას
რა გერგებო, ანიშნა,
მიმტანმაც გაჰკრა „ჩოთქი“ და
სამშაგად უანგარიშა!

მაშინ გამწარდა ხოჭო და
დაუცაცხანა კალიას:
— რაში გერგება ამდენი,
თეფშზე სულ ორი ძვალია,
ეს ხორცის წვენი კი არა,
ქათმის ნაფუფქი წყალია!




— რაში გერგება? — კალია
ულვაშას ახლოს დაუდგა:
— იმ ჩვენს ღირებუროს, — მელიას
მითხარი ჭამა არ უნდა? —

მაშინ წამოხტა ხოჭო და
ღირებუროსკენ გასწია,
რაც თავს გადახდა, უამბო...
მელიამ თავი ასწია

და კლიენტს უთხრა: — რას ჩხუბობ,
ჰე, ასე მალე დათვარი?
მე თუ მაგას ვთხოვ, ბიძია,
დათვი მყავს ტრეტის მმართველი!
მანეთზე ჩხუბობ ვაჟაკი?
შენ არ ყოფილხარ ქართველი!

ა. გოგიაშვილი

არ გაგაოცოთ
ქუჩებში მზისით
ლამპიონების ათინათებმა,
ჩააქრონ?
რისთვის?!
სალამო ხანზე
ხომ დასჭირდებათ ისევ ანთება?!




ზ. შერაზადაშვილი

კუბელმა კონტრრევოლუციონერებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნეს „დროებითი მთავრობა“, რომელიც ხელფასს ვაშინგტონში მიიღებს.

(გაზეთებიდან).

ნახ. გ. დომიძისა



საყვარელო ნიანგო

რომ იცოდე, რა სოფელი გვაქვს ჩვენ, გრემისხეველებს, მგლის მუხლს მოიბამდი და ღუშეთიდან პირდაპირ ჩვენკენ გამოსწვდი ღილინ-ღილინით. თუ ვინიცო-ბაა, ზამთარში ისურვო წამოსვლა, რიყეზე გაჭიმულ გზას გამოჰყევი და ჩვენთან ისე ამოხვალ, ფეხის წვერიც არ დაგისველდება, მაგრამ, თუ კარგი დარი დაგესწროს, ზემოთ რომ გზა მოემართება, იმას გამოჰყევი.

ერთი რამე კი გახსოვდეს. სხვა სოფელს თუ გინდა ეწვიო, მოძრაობის წესების დაცვა გჭირდება. აქ კი ამას არც არავინ გთხოვს და არც რაიმე საჭიროებას შეადგენს ეს ტყუილ-უბრალო ფორმალობა. დაადექი გზას და, გინდა, მარჯვენა მხარე დაიჭირე, გინდა, მარცხენა, გინდა, ზედ გზის შუაგულში იარე, კაცისშვილი ხმისგამცემი არ არის, არც პირისპირ შემოგვხვდება მანქანა, არც ზურგიდან წამოგეწევა, ერთის სიტყვით, სრული ასპროცენტური უშიშროება უზრუნველყოფილია შენთვის და, მეტი რაღა გინდა, „მობრძანდი, გელთ გაშლილი ხელით“.

პურმარილიანი ხალხი ჩვენც რომ ვართ, ამაში ადგილზევე დარწმუნდებით, ისე მოგილხნით და ისეთ მასპინძლობას გაგიწევთ, რომ ქოშები მარაწში სიარულით ნამდვილად გაგვეცვიტოს და მართლაც რომ ჭეშმარიტი მასპინძლის უნახავი გავხადოთ, მაგრამ ერთი თხოვნა გვაქვს შენთან და ეგ უნდა გავგიკეთო, როგორც საყოველთაოდ აღიარებულმა გაჭირვების ტალკვესმა:

გრემისხევეში 550-მდე კომლი რომ ვართ, რაიონული ცენტრიდან ერთი სამგზავრო მანქანა მაინც გამოგვიყონ, დღეგამოშვებით მაინც შეგვაძლებინონ რაიონულ ცენტრში ჩასვლა, დროგამოშვებით მაინც გვაფიქრებინონ, რომ ჩვენზედაც ზრუნავენ, თორემ ფეხსაცმელები ხომ ვეღარ და ვეღარ გვიძლებს და ფეხებიც დაგვაცვდა ამ სიგრძე-გზაზე სიარულითა.

აბა, შენ იცი, ნიანგო, ხომ ხვდები, რომ შენს იქით გზა არა გვაქვს?!

გრემისხეველი.



— გაიგე, ტოტია, ფერმის გამგე კერძო საკუთრების დაცვას გვებრალეებს, აქტში ჩაუწერია მგლებმა კოლმეურნეობის ცხვრები გაიტაცეს და პირადი სარგებლობის ცხვრებს ხელი არ ახლესო.

ვისია, ვისია, სახელი დამაზი?

თბილისში, საპროექტო ქუჩაზე გაღლისას, უცებ მოიტაცებს თვალს № 15 სახლი. მისი ლამაზი კარ-სარკმელი კაცს შეაჩერებს, ხოლო სახურავიდან ეზოსკენ დაშვებული პროექტორი და ეზოში, ხეივანთან დამრგვალებული აუზი თავისი წითელ-ყვითელი თევზებით, საოცნებო სამყაროში გადასტყორცნის ადამიანს. აქ ყველაზე მდიდარი ამილახვარიც კი შეჩერდებოდა და გაკვირვებით დააჭყეტდა თვალს. ვისია ეს სახლი ლამაზი?

თუ იურისპრუდენციას დავუჯერებთ, ეს სასახლე ქალთა სქესის წარმომადგენელს მოქ. გ. ჯაფარიძეს ეკუთვნის. სინამდვილეში კი, მას იგი საკუთარმა ქმარმა სერგო ეპიტაშვილმა დაანათლა კანონის თვალის ასახვევად. რაკი ასეა, უმჯობესი იქნება თვითონ სერგო გავიცნოთ თავისი სიგრძითა და სიგანით.

პირდაპირ ოქროს ხელი აქვს სერგო ეპიტაშვილს. რომ იტყვიან „ხელიდან მარგალიტები სცვიფაო“, ზუსტად სერგოზე ყოფილა ნათქვამი. მას შეუძლია, მაგალითად, იყიდოს „ხარლეის“ ტიპის მოტოციკლი, ერთი-ორჯერ გააჭენ-გამოაჭენოს და მერე ისეთ ფასად გაყიდოს, რომ ამ ფულით ავტომანქანა „ოპელ-კადეტის“ შეძენა შესძლოს. ეს კიდევ არაფერი, „ოპელის“ ფასად მას „პობედა“ მოუვა, ხოლო „პობედის“ ფულით — „ვოლგა“. მკითხველი, ალბათ, ხუმრობაში ჩამოგვართმევს ყოველივე ამას, მაგრამ უტყუარ ფაქტს ვერსად გავუქცევით. სერგო ეპიტაშვილმა „ხარლეით“ დაიწყო სატრანსპორტო ვაჭრობა და „ვოლგით“ დაამთავრა. დაამთავრაო? დამთავრება ადვილი სათქმელია. სერგოს ახალი, უკეთესი გადაწყვეტილება მიუღია. ისეთ მუშტარს ეძებს, „ვოლგაში“ იმდენი ფულის აღება მოუწადინებია, რომ საკუთარი სარგებლობისათვის „ტუ-104“ შეძენა სურს.

უფრო შორს გაფრინდა ეპიტაშვილი ბინის საკითხში. მან, უსაქმოდ და უსამსახუროდ მყოფმა კაცმა, 1956 წელს დადიანის ქუჩაზე მცხოვრებ მოქ. ისაგულოვისაგან 50.000 მანეთად (თანხა

ყველგან ძველი ფულითაა ნაჩვენები, რომ სერგოს ანგარიში არ აერიოს) იყიდა 40 კვ. მეტრის მოცულობის ერთი ოთახი, შემდეგ კვლავ დაუმატა 30.000 მანეთი, ისაგულოვს, ალიევის მდგმურს, კიდევ „გამოსტყუა“ ორი ოთახი და იმ დღიდან სამ ოთახში მკვიდრად დასახლდა.


მაღე სერგომ, როგორც იგი გულუბრყვილო ადამიანების დასარწმუნებლად განმარტავს, მოატყუა სახლის პატრონის ნათესავი მოქ. ნავიბოვი და ალიევის კუთვნილ სახლში მოქ. მანაშეროვი ჩაწერა. ჩაწერა მანაშეროვი, გამოართვა მას „ამის საფასურად“ 95.000 მანეთი და საპროექტო ქუჩაზე, სულ რაღაც 120.000 მანეთად შეიძინა ის ზღაპრული სახლი, რომელიც ჩვენ თავში ვახსენეთ. შავბნელი საქმეების მკეთებელს ყოველთვის ეშინია საბჭოთა კანონისა. სერგოც სწორედ ამ დღეში იყო და ეს სასახლე მაშინვე გააფორმა თავისი ცოლის გ. ჯაფარიძის სახელზე. ხედავთ რა მოხერხებულია სერგო ეპიტაშვილი? შეედავეთ, თუ ბიჭები ხართ! სერგოსთან რა საქმე გაქვთ, ამხანაგო კანონმდებლებო, სახლი ხომ ჯაფარიძეს ეკუთვნის!

საკითხავია: რა სახსრებით, რა საშუალებებით, საიდან ნაშოვნი თანხით მოახერხა სერგო ეპიტაშვილმა ეს ყველაფერი? მხედველობაშია მისაღები კიდევ ის გარემოება, რომ ოქროსხელიანმა სერგო ეპიტაშვილმა სანოტარო კანტორაშიც შესძლო ისეთი „გულუბრყვილო“ ადამიანის აღმოჩენა, რომელმაც „ერთი თვალის ჩაკვრით“ დაუჯერა, რომ ნახევარ მილიონ მანეთად ღირებული სახლი ვითომცდა 60.000 მანეთად ჰქონდა ნაყიდი. ამ ხერხით სერგომ სახლის ყიდვა-გაყიდვის აქტის გაფორმებაში ჩალის ფასი გადაუხადა სახელმწიფოს.

აი, თურმე, ვისი ყოფილა სახლი ლამაზი!

გ. ივანიშვილი

ზოგიერთი მშობელი იშვიათად მიდის სკოლაში თავისი ბავშვის ყოფილკაცისა და აკადემიური წარმატების გასაგებად.



— მამიკო, ეს არის ჩვენი სკოლა!
— რა ახლოს ყოფილა!

ნაზ. რ. მახარაძისა

აზგანი

ნიკოლოზ პეტრეს ძე დიდხანს წრილობდა ლოგინში. ვერ ისვენებდა, არ ეძინებოდა, ტვინს უბურღავდა დირექტორის ღვარძლიანი ფრაზა:

— დიხ, საზრუნავი ბევრი, თავზე საყრელი გაქვთ, იმდენი, რომ ადამიანისათვის საზრუნავად ვერც იცდით.

ყველაფერი კი სულ უბრალოდ მოხდა, წვრილმანის გამო: ოთხ მუშა ქალს პრემია არ მისცეს... დახე! უკვე ორი თვე გავიდა მას შემდეგ. პრემია ხომ, სხვათა შორის, ხელფასი როდია, მოთმენაც შეიძლება... ამ ახალგაზრდა ინჟინრების საქმე კი... მართლაც სასაცილოა. ცხოვრობენ სასტუმროში — და ეყოფათ როგორ, რა უნდათ იქ, ბინები მიეცით ისინი ხომ სულ მესამე თვეა ქარხანაში მოვიდნენ, ღმერთმა იცის, შეგვეგუებოდათ თუ არა...

რარიგ ანთო დირექტორი, ეს სიტყვები რომ გაიგონა. „როგორ, — ამბობს, — ასე უსულგულოდ თუ მოვექცეით, განა შეგვეგუებოდათ? სხვაგან კი შეგვეგუებოდათ, სადაც უკეთ ეპყრობოდათ ადამიანებს“.

ამ სიტყვებზე ნიკოლოზ პეტრეს ძემ ამოიხრა.

— იცით, იქ სადაც არა ვართ, მართლაც კარგია,

— დიხა, — შეაწყვეტინა დირექტორმა, — სადაც თქვენ არა ხართ და თქვენი სტილი.

მერედა, შეიძლება კი ასე ელაპარაკო მას, ნიკოლოზ პეტრეს ძე სუხარეხს, ბოლოს და ბოლოს, უკანასკნელი კაცი ხომ არაა ქარხანაში მაგრამ, როგორმე მაინც უნდა იღონოს და რაიმე გამოიგონოს. უნდა... რა მოხდებოდა... რამ გამოაშტერა, აქამდე ხალხი იყო, რატომ ვერ მოიფიქრა?

ნიკოლოზ პეტრეს ძე ლოგინიდან წამოხტა. მისი ტვინი გამაღებით მუშაობდა, ახლახან თავში მოსული აზრი კეშმარტ მხსნელად მოვედინა.

დიხ, დიხ, სწორედ ასე მოიქცევა. დილას წავა დირექტორთან, ახლა კი... ახლა მოამზადოს მოხსენებითი ბარათი.

„საჭიროდ მიმაჩნია, — წერდა იგი, — გარდაიქმნას ჩემდამი დაქვემდებარებული ადმინისტრაციული განყოფილება აზგანად“.

წარმომადგენი, გაიფიქრა სუხარეხმა, თუ რა გაცდებას გამოიწვევს ეს სიტყვა.

— რის აზგანი? — იკითხავს დირექტორი.

ნიკოლოზ პეტრეს ძე უპასუხებს მშვიდად, თითქოსდა გასაცდარი არაფერი.

— აზგანი — შემოკლებული სახელწოდებაა განყოფილებისა, რომლის შექმნასაც გირჩევთ. მთლიანად კი მისი სახელი იქნება — ადამიანისათვის ზრუნვის განყოფილება...

და დირექტორიც — სულელი როდია — მყისვე გაიგებს იდეის არსს და, რასაკვირველია, სათანადოდ შეაფასებს.

ნიკოლოზ პეტრეს ძემ გვერდზე გადადო კალმისტარი. „მე, — ეტყვის იგი დირექტორს, — შემომაქვს ეს წინადადება, თქვენი საქმეა — თუ ვის დანიშნავთ უფროსად“.

მას სუნთქვაც კი შეეცრა, როცა წარმოიდგინა დირექტორის კმაყოფილებით გაბრწყინებული სახე.

— ნიკოლოზ პეტრეს ძე, როგორ მოიფიქრეთ? სხვას ვის დავნიშნავ, თუ არა თქვენ — აზგანის შემოქმედს. მართალია, გაგაკრიტიკეთ, მაგრამ თქვენ გამოიტანეთ დასკვნები, მერედა როგორი...
ი, ოსტროვსკი,

ერთიმეორეზე უფრო ნათლად ესახებოდა ადამიანისათვის ზრუნვის სანიმუშო მდგომარეობის სურათები. განყოფილებაში უნდა იყოს ორი სექტორი — ყურადღების სექტორი და გულისხმიერების სექტორი. ბირველი მათგანის ძირითადი ამოცანაა — თვალსაჩინოება. ეშმაკსაც წაუღია ასეთი წარწერები: „დაზოგეთ ელექტროენერგია“. „დაფასეთ დამლაგებლის შრომა“, „ნუ მოსწევთ“ და ა. შ. შემოვიღებთ სრულიად ახალ, ეპოქის შესაფერის წარწერებს. ისე კი, შეიძლება გამოვიყენოთ ძველიც, თუ ოდნავ შევცვლით და, ასე ვთქვათ, შემოქმედებითად გავამდიდრებთ. მაგალითად: „დაზოგეთ ენერგია; იგი გამოგადგებათ ნორმების შესასრულებლად“. ან: „დაფასეთ შრომა — თქვენი და ამხანაგებისა“ ქარხნის სამმართველოს ახლოს მოვაწყობთ უზარმაზარ დიაგრამას, რომელზეც აისახება თუ როგორ ვზრუნავთ ადამიანისათვის.

ისახება მთელი სერია პლაკატებისა, რომლებიც კონკრეტულად გამოხატავენ ადამიანისათვის ზრუნვას: „იყავით ყურადღებიანი“, „იყავით გულისხმიერი“ და, ბოლოს, „იღვგრძელო“.

ნიკოლოზ პეტრეს ძეს ძლიერ უნდოდა განეგრძო ეს საჭირობოტო ლოზუნგი ფრაზით: „სიუხვე მოგცეთ!“, მაგრამ შემდეგ გაიფიქრა: უკანასკნელ ორ სიტყვაში რაღაცნაირი გადმონაშთები მოეჩვენა. მართლაც, — სიუხვე, სიმდიდრე, უხვად, მდიდრულად... არა, ნამდვილად შეუფერებელია.

სამაგიეროდ, რა ბრწყინვალედ დამშვენებს შესასვლელს თაღზე გაბმული ლამაზი წარწერა: „გულთადად სალამი ჩვენი კოლექტივის თითოეული წევრის ყველა კეთილმოყვარესა და ნაცნობ-მეგობარს“.

მიდის კაცი სამუშაოდან დამაშვრალი, ჩვენ კი, ასე ვთქვათ, გზას ვულოცავთ: „სალამი ყველა კეთილმოყვარესა და ნაცნობ-მეგობარს“. ვის შეუძლია ამის შემდეგ შემოგვიჩველოს, ადამიანისათვის არ ზრუნავთ?

მაგრამ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია გულისხმიერების სექტორი, რომელსაც უნდა ხელმძღვანელობდეს შეტად გამაზვიანებული ყნოსვის ადამიანი. აი, როგორ წარმოედგინა მისი ფუნქციები ნიკოლოზ პეტრეს ძეს. სექტორის ხელმძღვანელმა ზუსტად, წინასწარ უნდა დაგვემოს თავისი გულისხმიერი საქმიანობა, მაგრამ ერთბაშად ყველაფერს არ უნდა მოეჭიდოს. ვთქვათ, ერთი კვირის მანძილზე, იგი მუშაობს ერთ სამაქროში, გამოკითხავს ხოლმე თითოეულ მუშაკს დაახლოებით ასეთი სქემით:

— რა მოგივიდათ, ავად ხართ?

— სულაც არა.

— იქნებ ბანქოში წააგეთ?

— ბანქოს არ ვთამაშობ.

— ცოლმა ხომ არ გაწყენინათ?

— არა. მეგობრულად ვცხოვრობთ.

— სასამართლო ან სხვა რაიმე საქმის გამოძიება ხომ არ მოგელით?

— რას ამბობთ!

ამ დროს სექტორის ხელმძღვანელი ერთხელ კიდევ ყურადღებით შეთვლიერებს თანამოსაუბრეს და ყოველი შემთხვევისათვის ეტყვის:

— უცნაურია, ერთობ უცნაურია... მე კი რაღაც თქვენი იერი არ მომწონს, რა ვქნა, არ მომწონს. ერთი სიტყვით, თუ რამე ასეთია, დაუყოვნებლივ გვაუწყე. გაიგეთ? მაშ, ნახვამდის!

ამის შემდეგ გულისხმიერების ხელმძღვანელი სინჯავს სხვა მუშაკს, ისე რომ თანდათანობით გაიცნოს ქარხნის მთელი კოლექტივი.

დიხ, ბევრი, ძალიან ბევრი რამ შეიძლება განხორციელდეს ისეთი მძლავრი ბერკეტის მეშვეობით, როგორიც აზგანია. ნიკოლოზ პეტრეს ძე შევიდა საწოლ ოთახში, გამოაღვიძა ცოლი.

— მისმინე, ნადია...

მყისვე რატომღაც ჩურჩულით გააცნო თავისი იდეა.

— ნუთუ შენ? — ნადეჟა პარობორის ასულმა ტაშიც კი შემოგჭრა.

— რატომაც არა?... მერედა, ინიციატივა ვისია?

— ჰო, ჰო, მართალია, შენ ხომი...

ისინი კიდევ დიდხანს ჩურჩულდნენ შეთქმულებით.

დილას კი, დირექტორის გამოჩენისთანავე, მისი კაბინეტის კარებში ნიკოლოზ პეტრეს ძე აისვენდა.

— შ-შ-შ-შ, ამხანაგო დირექტორო!

— შემოდი.

— აი, რაღაც პატარა პროექტი წარმოგიდგინეთ განსახილველად.

ამ სიტყვებით სუხარეხმა დირექტორს გაუწოდა მანქანით გადაბეჭდილი რამდენიმე ფურცელი.

დირექტორმა სათვალე მოიმარჯვა და კითხვა დაიწყო. მისი სახე თანდათანობით სულ უფრო გაციებულ გამომეტყველებას იღებდა. მეოთხე გვერდი რომ გადაშალა, წაიბურტყუნა:

— მაშ, მაშ, საინტერესოა...

— ჩემის აზრით, ინტერესს არაა მოკლებული, — უაღრესი მოკრძალებით ჩაურთო ნიკოლოზ პეტრეს ძემ.

დირექტორი კვლავ ჩაეფლო მოხსენებით ბარათში, როცა დაამთავრა, ზეზე წამოდგა...

ი, ოსტროვსკი,

ნანგია **შოტოატური**



უსაფრთხო საშუალოდ საშუალოდ საშუალოდ

არ გეგონოთ, რომ ამ ფოტოზე სამრეცხაო ან მანქანების სასაფლაო იქნება ალბედილი. ეს არის სტალინის სახელობის სანაპიროზე განლაგებული „დოსაფის“ ქალაქის კომიტეტის მანქანების სადგური. ვის შველის მერე ეს სადგური; ავარიის მოყოლილ მანქანებს, თუ წყლიდან ამოყვანილ მოქალაქეებს ეხმარება საცვლების გაწვრთვაში? ეს, ალბათ, მანქანების სადგურის დირექტორის ლიონიდე ვასილის ძე ტირიონოვისა და ამ ფოტოზე ალბედილი მოქალაქის მეთმა არავინ არ იცის, მაგრამ არ იქნება ურიგო, „დოსაფის“ ქალაქის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბერიძემ მაინც რომ მიხედოს ამ უსაფრთხო საშუალოდ საშუალოდ სადგურს და გაგვარკვიოს. ბოლოს და ბოლოს: გარაუა ეს, სამრეცხაო, თუ მანქანების სადგური.



გმირი ხე

ცირკში ვინც უფიქრობდა, ალბათ უნახავს რთული აკრობატული ნომერი, როდესაც ერთ ძარღვიან და კუნთმადარ მამაკაცს ან დედაკაცს ექცევი-შვიდი

კაცი აზის კისერზე. იგი კი დგას გმირულად და იღიმება, ეს არაფერია. თუ გინახავთ თქვენ ნინოშვილის ქუჩაზე გმირი ხე, რომელსაც სიარული და ცირკში გამოსვლა რომ შეეძლოს, ისეთ აკრობატულ ნომერს გვაჩვენებდა, მთელს მსოფლიოს გააკვირვებდა. დააკვირდით ამ ფოტოს და თქვენ განცვიფრებული დარჩებით. ეს ტანმორჩილი, არცთუ ისე ატლტური ადნაგობის ხე თავისი ტანით იკავებს და იჭერს თელასის ბოძს, კუბიშვილის სახ. ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხნის საკვამლე მიღსა და ახალაშენებულ აგურის უზარმაზარ კედელს. ვაშა მას, ფესვმადარსა და უოჩაღ მცენარეს. კიდევ რამე იქნება ნინოშვილის ქუჩაზე წასაქცევად გახაზიებული და მიანით ამ საცოდავ ხეზე, გაუძლებს.

ქარაგმული ნაკვეთი

მმართველი ბურთივით გახდა და საკუთარ ბაღში გაესხია.

სასადილოს „ორს“-ი ამარაგებდა და, სასადილოდან ორს გაქონდა.

გამყიდველს კითხეს, ფეხბურთისა რა მოგწონსო და, ოსტატურად კარში გატანაო.

დირექტორს მოადგილეს უნიშნავდნენ და, მოეხსნათ ისე მიაჩნდაო.

კონდუქტორმა რევიზორს ჰკითხა: რაღას იზამ, თანამგზავრზე თუ გადამიყვანესო?

მდივანმა ცხვირი დაკარგა და, დირექტორის საქმეებში იპოვესო.

ბ. ძველია



XXX

1. მელვინის შემოსავლის წყარო ისევ წყარო იყო.

2. კურორტიდან დაბრუნებულ ალკოჰოლისტს ჰკითხეს, როგორ დაისვენეო და — ყოველდღიურად 100 გრამს ვმატულობდიო.

3. დისერტანტმა ინატრა, ნეტა ჩემს დისერტაციასაც ვეჭილი იცავდესო.

ზ. ბიკაშვილი



უტყბსო ხუმრობა.

რუმინეთის იუმორისტულ ჟურნალ „ურზილკადან“.

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე.

ხაქ. კმ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 14/IV-1961 წ. ქალ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ, პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შპკ. № 681, უფ. 00031. ტირაჟი 40.000

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრის განცხადება

აპრილი

1

აპრილი

5

აპრილი

7

აპრილი

9

